

„თეოლოგიის განხილვის მიზნით საღვთისმშობლის ხელისუფლების საფუძველზე... ყოველი სახელმწიფო, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს, უნდა იყოს სწავლის, განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვის, სოციალური და სხვა სფეროების განვითარების მიზნით მუშაობის ადგილი.“

ხობის მოამბე

№7 (7098) 13 აპრილი, შაბათი, 2013 წელი. შპსი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის განვითარება

9 აპრილი



ყვავილებითა და სანთლებით პატივი მიაგეს თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირებს. წლებია კერძო სკოლა „არეას“ მოსწავლეები და მასწავლებლები (დირექტორი - ბეატრიცა რუსია) დროებით, სურათებითა და ყვავილებით პატივს მიაგებენ გარდაცვლილთა სულებს. წლების წინ შეწყვეტილი სიმღერა მემორიალთან ჩონგურის თანხლებით ისევ ახმაინდა და ცრემლად აკიფდა დამსწრეთა სახეებზე. 9 აპრილის ტრადიციული გაიხსენეს და პატრიოტულ თემაზე კომპოზიცია წარმოადგინეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ნორჩ ჟურნალისტთა წრის აღსაზრდელებმა: ნინო ხარამიშვილმა, ანა სერგიამ, თამარ ხარამიშვილმა, ნიკა ვადაქარიამ და გიორგი ბერაიამ (წრის ხელმძღვანელი - ანა თათარიშვილი). ნორჩმა ჟურნალისტებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ზეცაში გმირებად ასული ქართველები. სამების ტაძრის წინამძღვარმა მამა კირიონმა პარაკლისი გადაუხადა 9 აპრილის დაღუპულთა სულებს. 9 აპრილის ტკივილიანი დღე საუკუნეებს გაუძღვება, როგორც სიმამაცის და საქართველოს დამოუკიდებლობის დასაწყისის სიმბოლო.

1989 წელი... 9 აპრილი... ათობით ათასი ქართველი თბილისში, მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის გამზირზე ერთი მოთხოვნით შეიკრიბა-საქართველო დამოუკიდებელი უნდა გამხდარიყო. ხალხში „შედეგო“ და „სალალობო“ გაიხმოდა, რომელიც ჯერ ყვირილმა, შემდეგ განწირულმა კვილიმა გადაფარა და მშვიდობიანი დემონსტრაცია საბჭოთა არმიამ ალესილი ნიშნებით და მომწამლავი გაზით დაარბია, დაჩეხა და უმოწყალოდ გაუსწორდა მომიტინგეებს, რის შედეგადაც დაიჭრა, მოიწამლა და დასახინდა ასობით ადამიანი ხოლო 21 ადამიანი დაიღუპა. კიდევ ერთი ტკივილიანი დღე გაუთენდათ ქართველებს... გავიდა წლები და 9 აპრილი ქართველი ხალხის ერთად შეკრების, თანადგომის, თავისუფლების სიმბოლო იქცა... ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ მემორიალთან შეიკრიბნენ,



სასოფლო-სამეურნეო პროგრამით გათვანიწინებული საგაზაფხულო სენა მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში დაიწყო



საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში მცირემიწიან ფერმერებს და გლეხებს დაურიგდა კომბინირებული და ნომინალური ბარათები. ნომინალური ბარათით მოსახლეობას შეუძლია შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო საქონელი და ინვენტარი. კომბინირებული ბარათით - ნაკვეთის ხვნა და ხნულის დაღისკვა-გაფხვიერება შესაძლებელია. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ხვნა-დამუშავება. თორსა-დღვანის, საჯიჯაოსა და ახალსოფლის თემებში. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა ადგილზე გაეცნო ხვნა-თესვის მიმდინარეობის პროცესს და მოსახლეობას გაესაუბრა. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამას სოფლის მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა.

2013—2014 სასწავლო წლიდან საქართველოს მოსწავლეები სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებენ

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, გიორგი მარგველაშვილის თქმით, ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფო საკუთარ კონსტიტუციურ ვალდებულებას ასრულებს. უფასო სახელმძღვანელოები მშობლებს თანხის დაზოგვის და სხვა მიმართულებით გამოყენების საშუალებას მისცემს. „მშობლებს მიეცემათ საშუალება, ეს თანხა გამოიყენონ ბავშვების მოსაყვლად, ზაფხულში დასასვენებლად. ამ ვალდებულებას სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს. კონსტიტუციის თანახმად, საშუალო სკოლაში სწავლა უფასოა. ჩვენ თავს ვალდებულად მივიჩნევთ, 650 ათასი მოსწავლის მშობლებს ბოლო თეთრის გატანა არ უხდებოდეს ოჯახიდან სახელმძღვანელოს შესაძენად. ამ თემაზე 5 თვე ვიმუშავეთ, ბევრი ვარიანტი განვიხილეთ და ყველას ვულოცავ, რომ საჯარო სკოლებში სახელმძღვანელოები უფასო იქნება,“ - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. მინისტრის განმარტებით, ყველაფერი კანონის ფარგლებში ხორციელდება და გამოცემლები სამინისტროსგან კანონით განსაზღვრულ თანხას მიიღებენ.

„განათლების სამინისტროს ვალდებულებაა, მშობლებს ჰქონდეთ მეტი შემოსავალი, რომელსაც შეიძლება მოახმარონ და ის 20-წლიანი ტვირთი, რაც მშობლებმა ჩვენს თავზე გადავატარეთ, მთავრდება. მოსახლეობის მიზანმიმართული გადარბების პოლიტიკა დამთავრებულია. აღარავინ გადარბებს ოჯახებს ბავშვების ხარჯზე,“ - აღნიშნა მარგველაშვილმა და დასძინა, რომ სახელმწიფო ამ ეტაპზე თვითონ ბეჭდავს სახელმძღვანელოებს. „5 თვეა, გამოცემლებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ფასის დაწვევაზე, 5 თვეა, ამაზე ვმუშაობთ და 20 წელია, ამ ბავშვების ოჯახებიდან ყოველწლიურად 200-300 ლარი გადის. იცოდეს ყველამ, ვინც ვილატეების უფლებებზე მესაუბრებით, რომ ეს დამთავრდა, რადგან ამ ბავშვების უფლებებია უზუნაესი.“ - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. „ყველაფერი კანონის ფარგლებშია. ჩვენ გამოცემლებს და ავტორებს ვაძლევთ იმ თანხას, რომელიც კანონის მიხედვით არის გათვალისწინებული. ეს თანხა საკმარისზე ბევრია, მაგრამ სახელმძღვანელოების თემა ამით არ იწურება, სახელმძღვანელოების ფასი

იყო ერთი საკითხი, მეორეა-შინაარსი და ფორმატი. ახლა ეს სახელმძღვანელოები ბევრად უფრო ხარისხიანად დაიბეჭდება. გამოცემლებს გამოცემის უფლებას არავინ ართმევს, მათ ექნებათ გამოცემის უფლება. უბრალოდ, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მოსწავლეებს მისცეს უფასოდ ის, რაც მათ უფასოდ ეკუთვნის. სახელმწიფო ამ ეტაპზე თვითონ ბეჭდავს სახელმძღვანელოებს, რომლებსაც სახელმწიფო უფასოდ დაარიგებს, სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეებმა სკოლაში უნდა ჩააბარონ. „ჩვენ ვამუშავეთ თემას, რომლის მიხედვითაც მოხდება შემდეგი-ეს წიგნები გადაეცემა სკოლას, შესაბამისად, ეს მშენიერი ბავშვები ამ წიგნებს არ დახევენ. სასწავლო წლის ბოლოს ჩააბარებენ სკოლას და შემდეგ წელს ისევ ამ წიგნებს გამოვიყენებთ,“ - დასძინა განათლების მინისტრი. გიორგი მარგველაშვილი ბრიფინგზე ნეტუქების თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ მომავალ სასწავლო წელს პირველკლასელებს ნეტუქები ისევ უფასოდ, სანუქრად გადაეცემა.

ნომინალური ბარათების განაღდება აღიარებულია

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში რიგდება ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათები, რითაც მოსახლეობას შეუძლია მიმდინარე წლის პირველ აგვისტომდე შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი და ინვენტარი. ხობის მუნიციპალიტეტში ფერმერები ნომინალური ბარათების განაღდება შეიძლება შემდეგ მისამართებზე: შპს „ფერმერთა სახლი“ - ხობი, კოსტავას ქ. N6. ი/მ „დუნია დემანია“ - ხობი, სტალინის ქ. N4. ი/მ „ვალერიან ქვარაია“ - სოფ. ხამისკური. შპს „ფერმერთა სახლი“ - ხობი, 26 მაისის ქ. N6. შპს „ფერმერთა სახლი“ - სოფ. ნოჯიხევი.

ბიძინა ივანიშვილი ჩაიხს სტავროპოლის უსვლა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ამერიკის შეერთებული შტატების ევროპის სარდლობის მეთაურს ევროპაში, ნატო-ს გაერთიანებული ძალების სარდალს, ჯეიმს სტავროპოლისს შეხვდა.

პრემიერის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ამერიკის ევროპული სარდლობა, რომელიც არის ძირითადი პასუხისმგებელი საქართველოსთან თანამშრომლობაზე, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ორი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს შორის პარტნიორობის განვითარებისთვის.

„მოხარული ვარ, რომ გვაქვს პროდუქტიული თანამშრომლობა და იდგება კონკრეტული, პრაქტიკული ნაბიჯები სტრატეგიული პარტნიორობის მხარდასაჭერად“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

თავის მხრივ, ჯეიმს სტავროპოლისმა ქართველი ჯარისკაცების ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის საქართველოს მთავრობას და პირადად პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა.

ირაკლი ალასანიას: „ზოგიერთები შეუფერხებელი არიან, რომ 8 მილიარდი დასარჯეს თავდაცვაში და ქვეყანა ვერ დაიცვეს“



თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, „ზოგიერთები შეუფერხებელი არიან, რომ 8 მილიარდი დასარჯეს თავდაცვაში და ქვეყანა ვერ დაიცვეს“.

ამის შესახებ ალასანიამ 2008 წლის ომის მოვლენების შესწავლის მიზნით, გამოძიების დაწყების თაობაზე განაცხადა.

„არაფერი არ შეცვლილა. არავინ არ აყენებს არსად კითხვის ნიშნის

ქვეშ, რომ ეს იყო აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ და ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიები. მე არ ვიცი, ღია კარებს რატომ ამტვრევენ, უბრალოდ ვხვდები, რომ ზოგიერთები ალბათ, შეუფერხებელი არიან, საქართველო რომ ვერ დაიცვეს, 8 მილიარდი რომ იყო ჩვენს თავდაცვაში დასარჯული და სამწუხაროდ, არ იყო გამართული არც კომუნიკაცია, არც ევაკუაციის გეგმა, არც რეზერვი არ იყო მზად. ალბათ, ამაზე პასუხის გაცემისგან თავის დაძვრენა უნდათ, მაგრამ ვერ დაიძვრენ. ეს ჩვენ გვჭირდება გავაკეთოთ იმისთვის, რომ მომავალში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა იგივე შეცდომები არ დაუშვას“, - განაცხადა ალასანიამ.

მისივე თქმით, ამ შემთხვევაში რუსეთის აზრი საერთოდ არ აინტერესებს.

„მე მაინტერესებს ის, რომ საქართველოში სიმართლე გაირკვევა. მსოფლიო, საქართველოსთან ერთად, კითხვის ნიშნის ქვეშ არც აყენებდა და არც დააყენებს ოკუპაციას, იმას, რომ ეს იყო სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული აგრესიული ომი რუსეთის ფედერაციის მხრიდან, აქედან გამომდინარე, ამაზე შედეგები საუბრები და ინსინუაციები არ მიმაჩნია საჭიროდ. ჩვენ დავიწყეთ შესწავლა იმ დოკუმენტაციის, იმ ნაბიჯების, იმ გადაწყვეტილებების მთელი ჯაჭვის, რასაც რუსეთის აგრესიული ომის პირობებში ქართული მხარე აწარმოებდა. დავუვლოთ შედეგებს. ამას დრო დასჭირდება და სწრაფად არ იქნება“. - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

აშშ საქართველოს ნითელას ვაქცინას ჩუქნის

როგორც აშშ-ის ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა, „საქართველოში ნითელას მომრავლებულ შემთხვევებთან გასამკლავებლად, შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი 75 000 ერთეული ვაქცინის შესაძენ თანხას გამოყოფს“.

შემოწირულობა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს თხოვნის საპასუხოდ ხორციელდება, რათა საქართველომ ნითელას გავრცელება თავიდან აიცილოს.

წელს საქართველოში ნითელას 700-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა მაშინ, როდესაც 2012 წელს ავადმყოფობის მხოლოდ 32 შემთხვევა იყო აღრიცხული. 179 პაციენტი საავადმყოფოში მოათავსეს. ორი ავადმყოფი, მათ შორის 11 თვის გოგონა გარდაიცვალა.

ვაქცინების შემენას გაერო-ს ბავშვთა ფონდი უხელმძღვანელებს. ვაქცინების განაწილებაზე საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი იზრუნებს.

ევროსაბჭო საქარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტი ერთ თვეში საქართველოს შესახებ ანგარიშს წარუბღენს

როგორც კომიტეტის თანამომხსენებელმა მარტინ იენსენმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, „აღნიშნული ანგარიში საინფორმაციო ხასიათის იქნება და მასში კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები იქნება ასახული“.

შეგახსენებთ, რომ ევროსაბჭოს საქარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლები მარტინ იენსენი და ბორის სილვეირი საქართველოს 8 თებერვას ეწვივნენ, მათ რამდენიმე დღის განმავლობაში შეხვედ-



რები გამართეს საქარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, სახალხო დამცველთან და ა.შ.

განათლების სამინისტრო მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოების უფასოდ გაცემას ხარჯების ოპტიმიზაციის შედეგად ახერხებს

როგორც განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „მარშანდელ ბიუჯეტში სოციალურად დაუცველებისთვის უფასო სახელმძღვანელოებისთვის 10 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული“.

„ჩვენ თითქმის იგივე თანხაში, 12 მილიონ ლარში ვახერხებთ, რომ საჯარო სკოლების აბსოლუტურად ყველა მოსწავლეს მივცეთ სახელმძღვანელოები. ამ თანხის ნაწილი ბიუჯეტში უკვე ჩადებული იყო სოციალურად დაუცველებისთვის, ნაწილის მობილიზება კი, ხარჯების ოპტიმიზაციის შედეგად შეეძლო“ - განაცხადა მარგველაშვილმა.



გიორგი მარგველაშვილი გამოირიცხავს, რომ სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემა ბიუჯეტის ხარისხი გააუმჯობესოს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი გამოირიცხავს, რომ სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემა ბიუჯეტის ხარისხი გააუმჯობესოს.

ამის შესახებ მარგველაშვილმა ურუნალისებთან შეხვედრისას იმ მოსაზრების კომენტარებისას განაცხადა, რომლის მიხედვით, სამინისტროს გადაწყვეტილება პოპულისტური და დროთა განმავლობაში წიგნების ხარისხი გააუმჯობესებს.

„რაც შეეხება ხარისხის დაცვას, თვითონ სახელმძღვანელოების ბიუჯეტის ხარისხი ამ ეტაპზე ამაღლება, რადგან ბევრი სტანდარტის დაკმაყოფილება მოუწევთ გამოძიებებს,

თუნდაც უზენაესობასთან დაკავშირებით; ამასთან, გუშინდელ შეხვედრაზე ჩვენ ვსაუბრობდით იმის თაობაზე, რომ ვაგრძელებთ თანამშრომლობას სპეციფიურად ამ ავტორებთან. ნახეთ, რა შიამ საქმე - სახელმძღვანელო და ზოგადად, ნებისმიერი ნაშრომის მიმართ არსებობს კრიტიკა, ის შეიძლება, მშობელს და მასწავლებელს არ მოსწონდეს, ერთია, ხელაღებით თქვა, რომ სახელმძღვანელო არ ვარგა და მეორეა, რომ გავაგრძელოთ მუშაობა მის დახვეწაზე და გავაგრძელოთ ისევ ამ ავტორთან, მაგრამ არა რაღაც უცნაურ კონგომერატში გააერთიანო ყველა, არამედ ამ ავტორს სპეციფიურად მისცე ინფორმაცია, რომ იცით რა, ეს მიდგომა ჩვენი აზრით, არასწორია. სხვათა შორის, რამდენიმე

ავტორმა თქვა, რომ ჩვენ გვინდა, სახელმძღვანელოებში ახლავე ჩაგასწავლოთ რაღაცეები და ამაზეც დავიწყეთ მუშაობა, მაგრამ გარდა ამისა, თვითონ სკოლებიდან ისმის გარკვეული დეტალების კრიტიკა და ამას შეუვკვეთავთ ჩვენ ჩვენს ავტორებს და აუვანზლანებთ მათ პირდაპირ და არა უცნაური სქემებით. გუშინ ასევე მოულოდნელი იყო ჩემთვის ის ინფორმაცია, რომ თვითონ ხუთლწიანი კონტრაქტები აქვთ დადებული, ავტორებს კი მხოლოდ ერთწლიანი იმ ნამუშევარში, რომელიც მათ გააკეთეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს კონტრაქტები ჩვენთვის არ იყო ცნობადი, რადგან ეს ავტორებსა და გამოძიებებს შორის დადებული კომერციული ხელშეკრულება იყო“, - განაცხადა მარგველაშვილმა.

კბილაშვილი ევროსაბჭოს საქარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებს შეხვდა



მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ევროსაბჭოს საქარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებს შეხვდა. შეხვედრა მთავარ პროკურატურაში გაიმართა.

„ევროსაბჭოს საქარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებს აინტერესებდათ საქართველოში მიმდინარე მოვლენები. ამ მოვლენებში პროკურატურის ჩართულობა, განხორციელებული საქმეები, საჯარო მოხელეების ძებნასთან არსებული პროცედურები, საკუთრების უფლების აღდგენა და ა.შ. ამ საკითხებზე გვექონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მათ ინფორმაცია, რომელიც აინტერესებდათ, პირველი წყაროსგან მიიღეს“. - განაცხადა ურუნალისებებს შეხვედრის დასრულების შემდეგ კბილაშვილმა.

სახელი კარგი

ბატონო როსტომ, ხობელეებისათვის არაკნობადი სახე ბრძანდებით, თუ არ ჩავთვლით იმასაც, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არასასიამოვნოდ მოვიხსენიეს. გექნებათ ალბათ ხობელეებისათვის თქვენი სათქმელი?

—ქალბატონო ნინო, თქვენის ნებართვით ამ შეკითხვას უპასუხოდ დავტოვებ. არ ვაპირებ ვინმესთან პოლემიკაში ჩართვას. რაც შეეხება ჩემს პიროვნებას, დაგეთანხმებით, რომ ცნობადი სახე არ გახლავარ. ვარ ერთ-ერთი რიგითი ხობელი, რომელსაც როგორც ყველა ჭეშმარიტ ხობელს, სურვილი აქვს ხობის და ხობელეების კეთილდღეობისათვის შრომა და ენერჯია არ დაზოგო.

დღეისათვის საქართველოს მთავრობა ზრუნავს, გლუხს ყველანაირი პირობა შეუქმნას საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უკვე დაიწყო პროგრამის განხორციელება, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს მუნიციპალიტეტში?

—პირველ ეტაპზე მოხდა მიწის მეკუთრეთა სიის გადამოწმება, დაზუსტება. ამჟამად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგების პროცესი, ასევე აღმოჩენილი უზუსტობების გამოსწორება და დამატებითი სიების შედგენა. მოგესვენებათ, რომ ხობის მუნიციპალიტეტში არის დაახლოებით 14 000 ბენეფიციარი, დამეთანხმებით ალბათ, საკმაოდ შრომატევადი საქმეა. მიუხედავად ამისა, ჩვენი სამსახური, სოფლის რწმუნებულები და სპეციალისტები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ეს პროცესი რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიეცეს ამ პროექტის ძირითადი ეტაპის, ხვნის დაწყების საშუალება.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, სოფლის მეურნეობის სამინისტროდან სტუმრებს ამ რამოდენიმე დღის წინ მასპინძლობდით. რა სახის ვიზიტი იყო?

—15 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით ცაგურიშვილი, ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ლადო გერემსაშვილი და ლევისტიკის სპე-

ციალისტი დავით ხოხობაშვილი გვსტუმრობდნენ. სამინისტროს წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რწმუნებულებს შეხვდნენ, სასოფლო-სამეურნეო კომბინირებული ბარათები ჩამოიტანეს, ამასთანავე კონსულტაცია მათი დარიგების, შეკვებისა და გამოყენების შესახებ ჩაუტარეს. 22 მარტს



სობელეების კეთილდღეობისათვის შრომას და ენერჯიას არ დავზოგავ...

როსტომ კილასონია: სასოფლო-სამეურნეო დარგში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე.

რებელს საკუთარ სახლებში პირადად გადასცემენ.

ამ რამოდენიმე დღის წინ, თქვენ სოფლის მეურნეობის სამსახურთან ერთად, მუნიციპალიტეტის მექანიზატორებს შეხვდით, როგორც ცნობილია, მექანიზატორების გადამზადების კურსები უკვე ჩატარდა, ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?

—მინდა დავაზუსტო, შეხვედრა შედგა ადგილობრივ მექანიზატორებთან, შეხვედრის მიზანი იყო საგაზაფხულო სამუშაოების პროცესში ადგილობრივი მექანიზატორების ჩართვა. შეხვედრა წარმართაკითხვა-პასუხის რეჟიმში. იმ მექანიზატორებს, რომლებსაც აქვთ სა-

ყველა რაიონში უნდა შექმნილიყო სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები ფერმერებისათვის. არის თუ არა ეს სამსახური ხობში?

—სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური ფერმერთათვის, ჯერჯერობით ხობის მუნიციპალიტეტში არ არის შექმნილი, მოსამზადებელი სამუშაოები თითქმის დასრულებულია. დასაქმების მსურველებმა უკვე გაიარეს ტესტირება და გასაუბრება სოფლის მეურნეობის სამინისტროში. უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი თუ ვინ დაინიშნება გამოცხადებულ ოთხ ვაკანტურ თანამდებობაზე. ზემოთხსენებული სამსახურისათვის აგრეთვე გამოიყო სა-

საწარმოებს, ამ თემაზე მიმდინარეობს კონსულტაციები როგორც სამინისტროსთან, ასევე ხობის მუნიციპალიტეტში მოქმედ მეწარმეებთან, თუ რა სახის გადამამუშავებელი საწარმოების აშენება იქნება მიზანშეწონილი კონკრეტულად ჩვენს მუნიციპალიტეტში. უკვე გამოიკვეთა რამოდენიმე საინტერესო წინადადება, რომლებიც გარკვეული კორექტირების შემდეგ სამინისტროში შემდგომი განხილვისთვის გადაეცემა.

საზოგადოებას აინტერესებს ინფორმაცია შესხებთან დაკავშირებით, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო გასცემს...

—ამ თემასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ, რამოდენიმე დღის წინ გააკეთა საკმაოდ ვრცელი განცხადება, რომელშიც საუბარია, რომ ეს არის სუფსიდირების გარეშე აგებული სქემა, რომელიც განვადების პრინციპს ეფუძნება. ამ სქემით გაიცემა მცირე ზომის სესხები 5 000 ლარამდე თანხის ოდენობით. ეს არის უპროცენტო განვადება, ვისაც უნდა საკუთარი წარმოებისათვის ნედლეულის (ინვენტარის, მცენარეთა დაცვის საშუალებების, სათესლე მასალის) შექმნა. ვინც ამ სესხს გაიფორმებს, ფულს არ აიღებს, ისინი პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო მალაზიებში არჩევენ შესასყიდ პაკეტს და ექვსი თვის თავზე დააბრუნებენ მის ექვივალენტურ თანხას. რაც შეეხება უფრო დიდ თანხებს, მათ ბანკები გასცემენ, მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი 15%-ად, რომელიც საპროცენტო ფონდს ფერმერებისათვის ჩამოყავს შესაბამისად 5000-დან 100000-მდე, კრედიტის შემთხვევაში 7-8%-მდე და 100 000-დან 1 მილიონამდე, სესხის შემთხვევაში 3%-მდე.

მსაუბრა ნინო გერგია.

კუთრებაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, არის გამართულ-მუშა მდგომარეობაში და აქვთ სურვილი მიიღონ მონაწილეობა ამ პროექტში, ითანამშრომლონ ჩვენთან. შეხვედრაზე მექანიზატორებს განუმარტეთ თუ რა სახის საშუალო ტექნობა შეასრულებელი, რა ვადებში და ასე შემდეგ.

მუშაო ოთახები ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. როგორც ჩემთვის ცნობილია, დაახლოებით ერთ კვირაში სამსახური დაიწყებს ფუნქციონირებას.

იგეგმება თუ არა ხობის მუნიციპალიტეტში ახალი სახის გადამამუშავებელი საწარმოების აშენება?

—რაც შეეხება გადამამუშავებელ

P.S. ვინაიდან ინტერვიუ ცოტა დაგვიანებით გადის ნომერში, თავს უფლებას მივცემ მოსახლებას მუნიციპალიტეტში განვითარებულ ახალ პროცესებზე ინფორმაცია მივანოდო. რაც შეეხება ბარათების დარიგებას,-მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ბარათები დაურიგდათ. ხოლო მათ ვისაც ბარათები არ მიუღიათ ისინიც სულ მოკლე ხანში კუთვნილ ბარათებს მიიღებენ. რაც შეეხება ხვნას, მუნიციპალიტეტის რიგი სოფლების მიწები უკვე მოხუნდა და მიდის ინტენსიური სამუშაოები სხვა სოფლებში. მათ კი ვისაც სურვილი აქვთ სასურველი სასოფლო-სამეურნეო იარაღი ან მინერალური სასუქი შეიძინონ ნომინალური ბარათით განკუთვნილი სასურველი სასოფლო სამეურნეო იარაღი ან მინერალური სასუქი, მუნიციპალიტეტში არსებული ფერმერთა სახლი მათ მომსახურეობას გაუნეცს.

გ მ წ ე რ ე ნ

ქართული გლეხის იმედია

გლეხებისთვის ერთ-ერთი დიდი პრობლემა მიწის სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკის, სახნავის, თესლის უქონლობაა, რომელიც ისეთ თანხებს მოითხოვს, რომ მისი შეძენა გლეხებს კი არა მსხვილ ფერმერებსაც უჭირს, ამიტომაც მათ მიწა სანახევროდ დაუმუშავებელი რჩებოდათ.

სოფლებში მოსვლის შემდეგ ეს მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირებად რჩებოდა... იყო დრო, როცა ძველმა ხელი-სუფლებამ სხვადასხვა ქვეყნებისა თუ ორგანიზაციების მიერ ნაჩუქარი ტექნიკა მუნიციპალიტეტებში შექმნილ ამხანაგობებს დაურიგა. მაშინ ზოგიერთ სოფელს თითო ტრაქტორი ერგო. მათ მიწა შელავათიან ფასებში უნდა მოეხნათ, მაგრამ ისეთი რიგი დადგა, ბევრი იძულებული გახდა კერძო მექანიზატორები ეძებნა, ბევრს კი მიწა

ისევ დაუმუშავებელი რჩებოდა. ქართველი გლეხი წლობით ელოდა, რომ რომელიმე ხელისუფლება მათკენ მოიხედავდა, რაიმეთი გამოსწორებდა შექმნილ ვითარებას, მაგრამ ამაოდ... და აი, ახალმოსულმა ხელი-სუფლებამ დაიწყო წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მცირემიწიანი ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში.

გლეხებმა და ფერმერებმა, რომელთაც საკუთრებაში ან ფაქტიურად მფლობელობაში გააჩნიათ 5 ჰექტარის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, უკვე მიიღეს „სასოფლო-სამეურნეო ბარათები“.

მუნიციპალიტეტის და სოფლის ხელმძღვანელებს შეხვდა და ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ამ ბარათით სარგებლობის შესახებ. როგორც იქნა იმედი ჩავსახა გლეხკაცს, იმედი ზვალნიდელი დღის, იმედი იმისა, რომ სოფლის მოსახლეობა ფეხზე დადგება და ამოიხუნთავს. იმედი იმისა, რომ სოფელი გაძლიერდება. სოფლის სიდილიერე კი ქვეყნის სიძლიერის საძირკველია.

ლალი შალამბერიძე, სოფელ პირველი ხორგის მცხოვრები.

როგორც ვიუწყებოდით, 7 თებერვალს ხობში „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელმა კონფერენციამ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ვარაზ გაბედავა, თანათავმჯდომარედ და აქტივის კოორდინატორად ედიშერ ჯობავა აირჩია. ისინი დღევანდელი ნომრის სტუმრები არიან და სამომავლო ურთიერთობებზე, ხალხის საკეთილდღეოდ განვითარებულ საკითხებზე გვიყვებიან.

ბატონო ვარაზ, არ არის დასამალი, რომ თქვენ ხობელებისთვის ცნობადი სახე არ იყავით, მინდა გავცნოთ გაზეთის მკითხველებს.

–უპირველესად მოგესალმებით, მინდა გისურვოთ წარმატებები. მართალი ბრძანდებით, მე არ ვარ ხობისთვის ცნობადი სახე, დავიბადე 1982 წელს სოფელ ქვემო ქვალონში. 2004 წელს დავამთავრე თსუ სოხუმის ფილიალი ისტორიის სპეციალობით, 2006 წელს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურა. მაქვს პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის ხარისხი. ვმუშაობდი პოლიტოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. ჩართული ვიყავი ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.



მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ყველა ადამიანთან

არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში მიღებულიქნა გადაწყვეტილება, საქართველოს მასშტაბით, რეგიონებში–რაიონებსა თუ ქალაქებში დაეფუძნებინათ კოალიციაში შემავალ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ ადგილობრივი ორგანიზაციები. ცენტრალურმა ოფისმა ნდობა გამოიხატა, რის შემდეგაც ბატონ ედიშერ ჯობავასთან ერთად შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი და საზოგადოების მონაწილეობით დაფუძნდა „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ ხობის რაიონული ორგანიზაცია პროფესიონალი, შრომისმოყვარე და პატრიოტული სულისკვეთების მქონე ადამიანებისგან ჩამოვყალიბეთ ბიუროს ძლიერი შემადგენლობა.

ვფიქრობ, 2013 წლის 7 თებერვალი, გაერთიანება „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ ხობის რაიონული ორგანიზაციის დაფუძნების დღე, იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ღირსეული თარიღი ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიაში, როგორც აღმასვლის, წარმატებებისა და ოცნებების ასრულების მნიშვნელოვანი საწყისი.

თქვენს ხუთეულში ცნობადი სახეები არიან: მათ შორის აღვნიშნავ ედიშერ ჯობავას, რომელსაც პარტიული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, როგორც თქვენს საერთო მიზანი და მიმართულებები?

–„ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ ხობის რაიონული ორგანიზაციის ბიუროს შემადგენლობაში არიან ადამიანები, რომელთაც პროფესიონალიზმით,

ის პოლიტიკიდან წავა მაშინ, როცა ქვეყანა ფეხზე მყარად დადგება, უზრუნველყოფილი იქნება პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა. ამ ჭორებს დღევანდელი ხელისუფლების არაკეთილმოსურნეები ავრცელებენ და ცდილობენ ხალხში გაურკვევლობა და უიმედობა დათესონ. თუმცა ხალხს მათი არ სჯერა და საბედნიეროდ, იმედიანად არის.

19 აპრილიც მალე დადგება, ეს ხომ არ იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ გედის სიმღერა?

–„ნაციონალური მოძრაობისთვის“ გედის სიმღერა ოქტომბრის არჩევნებზე შედგა. 19 აპრილის აქცია, მცდელობა იმისა, რომ გარკვეულწილად მოახდინონ საკუთარი მომხრეების კონსოლიდაცია. ასე რომ, ამაში არაფერი საგანგაშო და განსაკუთრებული არ არის.

მანიტერენებს როგორ განვითარდება მოვლენები სოფლებში, გეყოლებათ ოფიციალური წარმომადგენლები, თუ?

–ხობის რაიონული ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ სხვადასხვა სოფელში პერიოდულად ვხვდებით მოსახლეობას და აქტიურად მიმდინარეობს ადგილობრივი პარტიული სტრუქტურის ჩამოყალიბება, პროცესი თითქმის დასრულებულია.

თქვენი სამომავლო გეგმები, ისევე როგორც გაქვთ სხვა პარტიების წარმომადგენლებთან?

–არ ვანგვზოგადდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი სამოქმედო გეგმა პირდაპირ კავშირშია ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ გეგმებთან. უპირველესად, ჩვენი ვალია ადგილობრივ დონეზე იმ პოლიტიკის ხორცშესხმა, რასაც ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“ ისახავს.

რაც შეეხება სხვა პარტიებთან ურთიერთობას, ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა იმ ადამიანთან თუ ადგილობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, ასევე სამოქალაქო სექტორთანაც, რომელთაც გულწრფელად უყვართ საქართველო, სტკივით თითოეული ხობელის გასაჭირი და მზად არიან თავიანთი შრომითა და საქმიანობით გვერდში დაუდგნენ ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ დასახულ საქართველოს აღმშენებლობის პროცესს. მთავარია, ნებისმიერმა ჩვენგანმა პარტიულ და პირად ინტერესებზე მაღლა ხობის მოსახლეობის და საქვეყნო ინტერესები დავაყენოთ. მხოლოდ მაშინ იქნება გარანტირებული წინსვლა, ერთიანობა და ხვალისდელი დღის ნათელი მომავალი.

რა არის თქვენთვის ადამიანის დაწინაურების ძირითადი კრიტერიუმი?

–ადამიანის დაწინაურება აუცი-

ლებლად უნდა იყოს მოტივირებული მისი მოღვაწეობის შედეგებით, გაკეთებული საქმეების შეფასებითა და, რა თქმა უნდა, პროფესიონალიზმით, ასევე საქმის უკეთ კეთების სურვილითა და უნარით, ადამიანი შინაგანადაც უნდა იყოს მზად მეტი პასუხისმგებლობისთვის, დაწინაურება მარტო სკამის ცვლილება კი არ არის, მას სხვა ტვირთიც ახლავს, რისი ტარებაც უნდა შეეძლოს თანამდებობის ცვლილების მოსურნეს.

პრობლემათა შორის ძალიან რჩება დასაქმება. რას იტყვით ამის შესახებ?

–დასაქმება ერთ-ერთი მთავარი და პრიორიტეტული საკითხია ჩვენს რეალობაში. ნებისმიერი წინსვლა და შენება ფუჭია, თუ მისი შედეგი თითოეულმა ოჯახმა არ იგრძნოს და არ შეეხოს მათ სამომხმარებლო უზრუნველყოფას. ახალი პროგრამები იქნება ის კატალიზატორი, რომელიც დააჩქარებს სამუშაო ადგილების წარმოშობას და პარალელურად არსებული შრომი-

რას ეტყვით მოსახლეობას, რომელთაც ჯერ კიდევ ძალიან უჭირთ?

–ახალ ხელისუფლებას, სამწუხაროდ, მძიმე სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური მემკვიდრეობა დახვდა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებაში მოსული ახალი ძალა იღებს ვალდებულებას გამოიყვანოს ხალხი იმ სოციალური მდგომარეობიდან, რომელშიც წლების განმავლობაში გაამყოფებდა წინა ხელისუფლება. ეტაპობრივად დაიწყო სოფლის განვითარების პროგრამის განხორციელება, ინვესტიციების მოზიდვა და დაბანდება, რაც დასაქმების პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს. კომუნალური გადასახადების და ფასების შემცირების კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, დიდი ყურადღება ექცევა ჯანდაცვას და სოციალურ საკითხებს. აუცილებლად შეიქმნება გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება საზოგადოების იმ ფენებზე, რომლებსაც ძალიან უჭირთ. სახელმწიფო ყველანაირად ცდილობს შეუმსუბუქოს მოსახლეობას მდგომარეობა და ქვეყანა დააყენოს განვითარების სწორ გზაზე. ამის საწყისი სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვა, პენსიების გაზრდით, საქართველოს უნივერსიტეტების 14 ფაკულტეტზე უფასო სწავლებით, ელექტროენერჯის ტარიფების შემცირებით, უფასო მშობიარობით (ივლისიდან), ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევით, პედაგოგების ხელფასების ზრდით, უფასო სასკოლო წიგნებით, სამართლიანობის აღდგენით და კიდევ სხვა „წვრილმანებით“ დაიწყოს.

ადამიანურ ურთიერთობაში რას აქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას?

–ადამიანური ღირებულებები ჩემთვის ის თემაა, რომელსაც ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ. როგორც ჯეკ ლონდონი ამბობდა: „ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულება იცხოვროს... და არა იარსებოს“. სიმართლე და პატიოსნება–აი, ის კრედი, რომელიც ჩემი ცხოვრების წესია და, რა თქმა უნდა, სხვისგანაც ანალოგიურს ვითხოვ.

ჩვენ დიდი წარსულისა და ტრადიციების მქონე ერის შვილები ვართ, მიყვარს ტრადიციული და ზომიერი ურთიერთობები. ერთი ბრძნული გამონათქვამია: „იცხოვრე პატიოსანი და ღირსეული ცხოვრებით და როდესაც მოხუცდები, გადახედ შენს ცხოვრებას, დაფიქრე მასზე და აღმოაჩენ, რომ კიდევ ერთხელ გაქვს შესაძლებლობა იმისა, რომ ისიამოვნო მისით“. ყველა ადამიანს და მათ შორის მეც, თუ უფალი მოგცემს ანალოგიური სიამოვნების უფლებას, მაშინ ვიტყვით, რომ გვიცხოვრია.

ამ საპასუხისმგებლო მისიის შესრულებაში ვინ გეიმედება?

–უპირველესად ძალიან მიემდეგა ჩვენი მოსახლეობა, რომელიც გამორჩეულია კოლხური სისადავითა და გონებაგამჭრიახობით. მჯერა, ხალხი აუცილებლად დაგვიდგება გვერდით და ერთად წავალთ წინ, მართლა მჯერა, რომ დაკისრებული მისიის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ პროფესიონალ, გამოცდილ და უღალატო ადამიანთა გუნდთან ერთად.

მსაზურა მერი ლაპვილაძე.

ვიცით წარსული და გვჯერა მომავლის



მოგესალმებით, მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველებს, ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეულ მკვიდრს.

დიდი ხანია, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არ მქონდა საშუალება, მიმდინარე პოლიტიკური საკითხების შესახებ ჩემი აზრი გამოვხატა. საერთოდ, სიმართლეს, სამწუხაროდ, ცოტა ყავს გულშემატკივარი. ბევრი მიყვება მას, სანამ საშიშროებას შეხედება, ხოლო ბევრი ადამიანი ერთგულებას გამოხატავს, შინაგანად კი თვალთმაქცობს.

ქვეყანაში იყო ისეთი მდგომარეობა, ციკლონის სიტყვებით რომ ვთქვა: „იარაღი ბობოქრობს და კანონი დუმს“. მაგრამ მთავარია და სასიამოვნოც, რომ დღეს სხვა რეალობაში გვიწევს ცხოვრება, რადგან ხალხს განვითარების, უკეთესი მომავლის იმედი გაუჩნდა. პირადად მე კი ამ ყველაფერთან ერთად უპირველესად დამბრუნდა საკუთარ ქვეყანაში ცხოვრების სურვილი. არსებული პოლიტიკური რეალობის გამო, ხშირად მიფიქრია საზღვარგარეთ წასვლაზე, მაგრამ ვერ გადავადგიე ეს ნაბიჯი ოჯახისა და, უპირველესად, მშობლების გამო, რომელთაც მეორე შვილი საავადმყოფოში ყავდათ, „შენ არ გაქვს უფლება წამართვა შვილი, როდესაც მეორე შვილი ასე ავად მყავს“; „ამბობდა ღედა. ეს სიტყვები დიდ გავლენას ახდენდა ჩემზე...“

ღვთის წყალობითა და ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით, შეიცვალა გარემოება. სხვა რეალობაში აღმოვჩნდით. მართალი გითხრა, დიდი ხანია ასე ბედნიერი და თავისუფალი ჩვენი მუნიციპალიტეტის თუ ქვეყნის მოქალაქეები არ მინახავს. შეიძლება ეკონომიკურად მძიმე პირობები არ ჰქონდეს ადამიანს, მაგრამ შეზღუდული ჰქონდეს თავისუფლება. თავისუფლება გადაადგილებისა, პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირებისა, აზრის გამოხატვის. ასეთი უკანონო შეზღუდვები წარსულს ჩაბარდა. არადა, ეს პერიოდი თითქმის ყველამ გავიარეთ. ამ გზაზე ჩემმა ოჯახმა (და არა მარტო) განსაკუთრებული დარტყმა მიიღო, რადგანაც წინა ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლები უმოწყალოდ გამისწორდნენ და უკანონოდ დამპატიმრეს, მხოლოდ იმიტომ, რომ 2003 წლიდან ვიყავი ოპოზიციაში, 2009 წელს კი ერთადერთი დეპუტატი ოპოზიციიდან რაიონის მაშინდელ საკ-

რებულოში. მინდოდა თანამოაზრეებთან ერთად ფრაქციის შექმნა, ვააშკარავებდი ხელისუფლების მანიკერი მხარეებს და შეძლებისდაგვარად ვემსახურებოდი ჩემს ხალხს, რისთვისაც დავისაჯე. რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ძალისხმევა, დარწმუნებული ვარ, რომ საპრობილედან ჯანმრთელი ვერ დავბრუნდებოდი. ზოგი არაფერს ამბობს, რადგან არ იცის რა თქვას, ზოგი კი იმიტომ, რომ იცის დრო, როდესაც თქვას. უფლის წყალობით დღეს კვლავაც შემიდგია ღირსეული ადამიანების გარემოცვასთან ერთად და ვუბრუნდე პოლიტიკურ საქმიანობას და მონაწილეობა იმ საკეთილდღეო საქმეში მივიღე, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ქვეყნის განვითარებისკენ სწრაფვა ჰქვია. ისეთი შეგრძნებით ვბრუნდები პოლიტიკაში, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის კურსის გატარებითა და ღირსეული გუნდის ფორმირებით, თითქოს ადამიანურ-

განძი, თუმცა დიდი პასუხისმგებლობა პოლიტიკაში ყოფნისას, რომ გაითვალისწინო მათი რჩევები და იარო სწორი გზით, რაც ყველაფერთან ერთად, აკლდა წინა ხელისუფლებას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ ამიტომ ვაყაღებებთ სათათბიროს ე.წ. მრჩეველთა ჯგუფს, რომელსაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები დეპუტატი ადამიანები შეავსებენ. ჩვენ გავითვალისწინებთ მათ რჩევებს, მოსაზრებებს, თუნდაც გამოცდილებას.

ცნობილი გერმანელი პოეტი და იუმორისტი მორი ვოტლიბ საფირი ერთ ლიტერატორს შეეკამათა, რომელმაც გესლიანად მიუგო:

–თქვენ ბატონო საფირ, ფულისთვის წერთ, მე კი მხოლოდ ღირსებისთვის.

–ყოველი ჩვენგანი წერს იმისთვის, რაც აკლია, –უთხრა საფირმა.

ეს იმიტომ მოვიყვანე მაგალითად, რომ პოლიტიკაში და ვუბრუნ-

პოლიტიკაში დავბრუნდი არა იმისთვის, რომ ისტანბული ბერკეტებით კარიერული წინსვლა მოვიპოვო და მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესო, არამედ იმისთვის, რომ წარმომადგენლობით ორგანოში ჩემი მიზნები და ამოცანები მუნიციპალიტეტის საკეთილდღეო გამოვიყენო, ის დავიბრუნო, რაც ძალით წამართვეს. ადამიანი უნდა ესწრაფვოდეს არა კარიერისკენ, არამედ ბედნიერებისკენ, ხოლო ბედნიერი ვერ იქნები თუ გარშემო მყოფი ადამიანები ბედნიერები არ არიან. მითუმეტეს მიწვევს დავტოვო ჩემი საქმე, რომელსაც წარმატებით ვავართვი თავი პოლიტიკაში და ვბრუნდებამდე. ამასაც ამბობენ, „ის ვინც ეკუთვნის ყველას, არ ეკუთვნის საკუთარ თავს“, მაგრამ კეთილი საქმის კეთების შესაძლებლობაც ხომ დიდი სიამოვნება და ბედნიერებაა მოვალეობასთან ერთად.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ნათელი და ეკონომიკურად ძლიერი, ტრადიციულ ღირებულებებზე ორიენტირებული იქნება, ამ გზაზე ხალხთან ერთად ჩვენს ძალას და ენერჯიას არ მოვაკლებთ.

და ბოლოს მინდა ვთქვა, ვიცით წარსული და გვჯერა მომავლის. უფალი გვარავდეთ!

ვილიმერ ჯობაგვა.

სახაიო ჩაფორმების ნაწარმების პროექტი სოხის მუნიციპალიტეტში

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENN), საქართველოს გარემოსდაცვის, ენერჯეტიკის და ბუნებრივი რესურსების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და ღია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივასთან (OECI) ერთად დაიწყო რეგიონში სატყეო სექტორში მიმდინარე რეფორმებზე საზოგადოების ინფორმირება და ადგილობრივი პრობლემატიკის შეფასების პროგრამა ტყის მართვის დარგში. ინიციატივა ხორციელდება ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში. პროგრამის განხორციელების მიზნით 1 აპრილს სოხის მუნიციპალიტეტში, გამგეობის შე-

საბამისი სამსახურის წარმომადგენლებისთვის და სოფლის რწმუნებულთათვის შედგა საინფორმაციო ტრენინგი, ტყეების პრობლემატიკისა და ადგილობრივი საჭიროების ანალიზის შესახებ, რომელსაც უძღვევოდა ღია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივის კოორდინატორი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მაია კოდუა. პროგრამა ხორციელდება საქართველოს შეიქმნილ რეგიონში, 2400-მდე სოფელსა და 43 მუნიციპალიტეტის ქალაქში. ინიციატივის მიზანია, სატყეო სექტორში მიმდინარე ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეწოდოს ინფორმაცია, განხორციელდეს კონსულტაციები, გამოიკვეთოს პრობლემა, რაც მომავალში ამ პრობლემის გადაწყვეტას ხელს შეუწყობს.

სოხის მუნიციპალიტეტში არასრულწლოვანი იმუნობირაზული პროექტის დაწყება

საქართველოში წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით ქვეყნის მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტის სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებს დაეკავალათ უზრუნველყოფა 7 წლამდე არასრულწლოვანი იმუნობირაზული ბავშვთა და დაავადებულ პირებთან კონტაქტირების ვაქცინაცია. ა) (ა)ბ „სოხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ არაგვემური იმუნობირაზული პროექტის ჩასატარებლად შეძენილი აქვს რუტინული ვაქცინაციისთვის საჭირო მასალა. გაძლიერდა ეპიდზედახედველობა. გამონახა და ცხელებით მიმდინარე ყველა დაავადებაზე მოხდება რეაგირება.



„ქალბის ექსპლანტაციის პროექტის დაწყება სოხის მუნიციპალიტეტში“

26 მარტს სოხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დარბაზში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს მუნიციპალური მომსახურების ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ქეთევან ჯაყელი და პროექტის კოორდინატორმა ლალი შეშელიძემ ადგილობრივი თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად სამოქმედო გეგმა წარმოადგინეს. პროექტი მომზადებულია ეროვნული განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით და ხორციელდება შედეგების საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სა-

